ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172922392**

თარიღი: **19.10.2017**

მისამართი:
ზაზა ქოჩიაშვილი
პირადი ნომერი: 01022001320
მისამართი: თბილისი ზღვისუბნის დას. XI მ/რ II კვ. კორ. 33ა ბ. 38

ბატონო ზაზა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01172192549-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანებას 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-19/01/72192549-17

"19" 10 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.698) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (კომერციული, სავაჭრო, საცხოვრებელი) შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2862943 24.10.2016წ.

საშსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-5" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები და შეცვლილია მათი გაბარიტები.

+31.40 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში აივნის გადახურვას ფილას მონაცვლებული აქვს ადგილი. „1" ღერძზე იგივე ნიშნულზე შემცირებულია კედლის სიმაღლე.

„ა-ზ" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები და შეცვლილია მათი გაბარიტები. პანდუსის კონფიგურაცია და გაბარიტები არ შესაბამება საპროექტო ნახაზებს. შეცვლილია პანდუსის მოაჯირის ნახატი.

„ზ-ა" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „გ-ბ" მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფანჯრა და შეცვლილია მისი გაბარიტები.

„5-1" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები და შეცვლილია მათი გაბარიტები.

გეგმების მიხედვით: შემცირებულია ლიფტის კარის ღიობი.

ობიექტზე კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა.

+3.50 ნიშნულზე „ე-ვ" მონაკვეთში ყველა სართულზე ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

+31.40 ნიშნულზე „2-5" და „ბ-დ" მონაკვეთებს შორის დამატებით მოწყობილია კოლონები. „2-3" მონაკვეთში „ვ" ღერძზე მოხოლითურის ნაცვლად მოწყობილია ბეტონის კედელი. „2-5" მონაკვეთში „ბ" ღერძის შიგნით გაზრდილია აივნის გაბარიტი. „2-3" და დ-გ" მონაკვეთებს შორის დამატებით მოწყობილია ღიობი და ლიფონის კიბე.

„2-1" და „გ-ე" მონაკვეთებს შორის გაუქმებულია სავენტილაციო შახტა.

+34.40 ნიშნულზე „2-5" და „ბ-დ" მონაკვეთებს შორის გაზრდილია პარაპეტის გაბარიტები, „2-3" და დ-გ" მონაკვეთებს შორის დამატებით მოწყობილია ღიობის სამანქანო ოთახი.

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია წყალშემკრები მილების რაოდენობა და მდებარეობა.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2

მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „real estate construction“-ს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.698) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (კომერციული, სავაჭრო, საცხოვრებელი) შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172192549-17 07.08.2017წ. განცხადება.
№წ-19/01172192549-17 09.08.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე